ხელშეკრულება № 184

ქ. თბილისი

05 ნოემბერი 2018 წელი

ერთი მხრივ, სსიპ „ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური“ (შემდგომში „შემსყიდველი”), წარმოდგენილი დირექტორის მოადგილის მირონ ჩიგოგიძეს სახით და მეორეს მხრივ, შპს „მაქსსერვისი“ (შემდგომში „მიმწოდებელი”), წარმოდგენილი დირექტორის მიხეილ გეგიას სახით ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები“, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2011 წლის 21 იანვარის №26 დადგენილების (ავტოსატრანსპორტო საშუალებების წლოვანების ან/და გარანტიის პირობების დადგენის შესახებ, რომელთა ტექნიკური მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა შესაძლებელია გამარტივებული შესყიდვის საშუალებით) საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას (შემდგომში „ხელშეკრულება“) შემდეგზე:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტება

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში - „ხელშეკრულება“) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომელზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „შემსყიდველი“ - პირი, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.4. „მიმწოდებელი“ - პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.5. „მომსახურება“ - ხელშეკრულების მეორე პუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი და შესყიდვის ობიექტი

2.1. ხელშეკრულების საგანია სსიპ „ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის“ მიერ, 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან სსიპ „ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურისთვის“ გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში, სატრანსპორტო საშუალებებისა და მათთან დაკავშირებული მოწობილობების შეკეთება, ტექნიკური მომსახურება და მასთან დაკავშირებული მომსახურებების (CPV კოდი: 50100000) შესყიდვა.

2.2. შესყიდვის ობიექტია: სსიპ „ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის“ ბალანსზე რიცხული სამსახურებრივი ავტომობილის (ფორდ ფოკუსი, გამოშვების წელი 2014, სახელმწიფო ნომერი: **AW478WA)** ტექნიკური მომსახურება. კერძოდ:

#	დასახელება	რაოდენობა	ერთეულის ღირებულება	საერთო ღირებულება
1	ზეთი 5W30 სინთეტიკა	4 ლიტრი	22 ლარი	88 ლარი
2	ზეთის ფილტრი	1 ცალი	15 ლარი	15 ლარი
3	ანტიფრიზი	1,5 ლიტრი	10 ლარი	15 ლარი
		სულ ჯამი:	**118 ლარი**	

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულება განისაზღვრება ეროვნულ ვალუტაში.

3.2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 118 (ასთვრამეტი) ლარს დღგ-ს გათვალისწინებით.

3.3. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯს, დაკავშირებულს მომსახურების გაწევასთან, მათ შორის, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

3.4. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

3.5. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით;

4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

4.1. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას მომსახურება განახორციელეოს ჯეროვნად და კეთილსინდისიერად, რომ მის მიერ განხორციელებული მომსახურება არ გამოავლენს ხარვეზს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.
4.2. მომსახურებაში ხარვეზის გამოვლენის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია დაუყოვნებლივ, საკუთარი სახსრებით აღმოფხვრას ხარვეზი.

5. მომსახურების გაწევის პირობები

5.1. მომსახურების გაწევის ადგილად ითვლება: ქ. თბილისი, ბელიაშვილის ქუჩა #122.
5.2 მომსახურების გაწევის ვადა: ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს სსიპ „ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის" ლოგისტიკის დეპარტამენტის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების მთავარი სპეციალისტი დავით ბაკურაძე.

7. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება და ანგარიშსწორება

7.1. მიღება-ჩაბარება განხორციელდება ფაქტიურად განხორციელებული მომსახურების შესაბამისად, წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განმახორციელებელი პირის მიერ მომზადებული დასკვნის საფუძველზე, მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტით. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილია სსიპ „ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის" ლოგისტიკის დეპარტამენტის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი ლევან შანიძე.
7.2. მიღება-ჩაბარების აქტი დგება სამ ეგზემპლარად, რომელთაგან ორი გადაეცემა შემსყიდველს, ხოლო ერთი - მიმწოდებელს.
7.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით, ეროვნულ ვალუტაში – ლარში, მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

8. მხარეთა უფლება-ვალდებულებები

8.1. **შემსყიდველის უფლება-ვალდებულება:**

8.1.1. შემსყიდველს უფლება აქვს, მოსთხოვოს მიმწოდებელს მომსახურების შეუფერხებელი განხორციელება, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება.
8.1.2. შემსყიდველს უფლება აქვს, შეამოწმოს განხორციელებული მომსახურების ხარისხი და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხარვეზის დაუყოვნებლივ აღმოფხვრა.
8.1.3. შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს მის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაცვით განხორციელებული მომსახურების ღირებულება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

8.2. **მიმწოდებლის უფლება-ვალდებულება:**

8.2.1. მიმწოდებელს უფლება აქვს მოსთხოვოს შემსყიდველს წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად და დადგენილი წესით განხორციელებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება.
8.2.2. მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მოთხოვნისთანავე დაუყოვნებლივ, საკუთარი ხარჯებით აღმოფხვრას განხორციელებულ მომსახურებაში არსებული ხარვეზი.
8.2.3. მიმწოდებელი ვალდებულია სრულად და ჯეროვნად შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1. მხარეები კისრულობენ ვალდებულებას აუნაზღაურონ მეორე მხარეს მათ მიერ წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის ან არაჯეროვნად შესრულების შედეგად მიყენებული ზიანი, მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით;
9.2. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით.

9.3. წინამდებარე ხელშეკრულების 7.3 პუნქტით განსაზღვრული გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0.1%-ის ოდენობით.

9.4. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1 (ერთი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება, მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება და მიმწოდებელს დამატებით დააკისროს პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით.

9.5. საჯარიმო სანქციით დაკისრებული პირგსამტეხლო გადახდილი უნდა იქნეს მხარისათვის აღნიშნულის თაობაზე გადაწყვეტილების (წერილი პირგასამტეხლოს დაკისრების თაობაზე) გაცნობიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

9.6. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით. ამასთან, ხელშეკრულების მოქმედების ვადის ამოწურვა მხარეებს არ ათავისუფლებს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისგან.

11. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

11.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ, რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

11.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით, ხელშეკრულების მე-14 მუხლის შესაბამისად.

12. ფორს-მაჟორი

12.1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე არც ერთი მხარე არ აგებს პასუხს მეორე მხარის წინაშე და თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან საკუთარი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების გამო, თუ ამის მიზეზი გახდა საგანგებო ხასიათის მქონე გადაულახავი ძალა,

რომლის წამოშობაზე ხელშეკრულების მონაწილე მხარეები პასუხს არ აგებენ და რომლის არსებობის ან წარმოშობის შესახებ წინამდებარე ხელშეკრულების დადების მომენტში არ შეეძლოთ სცოდნოდათ.

12.2. გადაულახავ ძალად ჩაითვლება შემდეგი (და არა მხოლოდ):

12.2.1. სტიქიური უბედურებანი (ხანძარი, წყალდიდობა, მიწისძვრა, შტორმი და სხვა);

12.2.2. ომი, სამოქალაქო არეულობა, ნებისმიერი სახის საომარი მოქმედებები, საგანგებო მდგომარეობა;

12.2.3. ეპიდემიები;

12.2.4. ბლოკადა ან ნებისმიერი ეკონომიკური ემბარგო;

12.2.5. ხელისუფლების ნებისმიერი ერთეულის ან ხელისუფლების მიერ საამისოდ კომპეტენტურად განსაზღვრული ორგანოს გადაწყვეტილება და ისეთი ნორმატიული აქტების გამოცემა, რომლებიც ზემოქმედებენ მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე და ცვლიან, წყვეტენ ან აჩერებენ წინამდებარე ხელშეკრულების დებულებებსა და პირობებს.

12.3. ფორს-მაჟორული მოვლენა დადასტურებული უნდა იქნას კომპეტენტური ორგანოს მიერ.

12.4. ფორს-მაჟორული მოვლენების წარმოშობის შესახებ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის ხელთ არსებული საკომუნიკაციო საშუალებებით (ტელეფონი, ფოსტა, ფაქსი, ელექტრონული ფოსტა, კურიერი და სხვა) და წარუდგინოს კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემული, აღნიშნული გარემოების არსებობისა და ხანგრძლივობის დამადასტურებელი ცნობა.

12.5. ფორს-მაჟორული გარემოებების შეწყვეტისთანავე მხარეები დაუყონებლივ აგრძელებენ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც შემსყიდველს დაეკარგა ინტერესი ამ შესრულებაზე.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
13.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეებს უფლება აქვთ მიმართონ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და შეწყვეტა

14.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
14.2. შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულების შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში
14.3. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულების შესრულებისაგან.
14.4. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

15. ხელშეკრულების სხვა პირობები

15.1. ხელშეკრულება დადებულია და განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
15.2. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზიანს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
15.3. მიმწოდებელს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე.
15.4. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.
15.5. ყველა ის შემთხვევა და პირობა, რომელიც გათვალისწინებული არ არის წინამდებარე ხელშეკრულებით, განიხილება და გადაწყდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
15.6. წინამდებარე ხელშეკრულების ყველა პირობა და დებულება ვრცელდება და სავალდებულოა მხარეთა უფლებამონაცვლეთათვის (სამართალმემკვიდრეთათვის).
15.7. წინამდებარე ხელშეკრულების ყველა დამატება, ცვლილება და შესწორების ყველა დანართი წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
15.8. მოქმედი კანონმდებლობის ცვლილება, რომელიც ცვლის ან აუქმებს წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე დებულებას, არ იწვევს მთლიანდ ხელშეკრულების გაუქმებას.
15.9. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება მხარეებთან (ორი ეგზემპლარი - „შემსყიდველთან", ერთი ეგზემპლარი - „მიმწოდებელთან). ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

16. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი

სსიპ „ვეტერანების აქმეთა სახელმწიფო სამსახური"
ქ. თბილისი, ვ. გორგასლის შესახვევი #12ა
ს/კ 205 309 637
სახელმწიფო ხაზინა
TRESGE22
ხაზინის ერთიანი ანგარიში

მირონ ჩიგოგიძე
დირექტორის მოადგილე

მიმწოდებელი

შპს „მაქსსერვისი" მისამათი:
ქ. თბილისი ბელიაშვილის ქუჩა #122
საბანკო რეკვიზიტები:
სს „პროკრედიტ ბანკი" ბანკი კოდი: MIBGGE22
ა/ა GE46PC0203600100020248
ს/კ 400 122 602

მიხეილ გეგია
დირექტორი

ხელწერილი
ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

05 ნოემბერი 2018 წ

ქვემოთ ხელისმოწერით ვადასტურებ, რომ შპს „მაქსსერვისი"-ს მიმართ სრულად ვაკმაყოფილებ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე–8 მუხლით დადგენილ ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობებსა და წესებს.

სსიპ „ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური:

სსიპ „ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის" დირექტორის მოადგილე — მირონ ჩიგოგიძე

სსიპ „ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის" ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი — ვარლამ ბზიკაძე

სსიპ „ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის" სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსი — მიხეილ ხურციძე

სსიპ „ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის" ლოგისტიკის დეპარტამენტის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი — ლევან შანიძე

სსიპ „ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის" ლოგისტიკის დეპარტამენტის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების მთავარი სპეციალისტი — დავით ბაკურაძე

სსიპ „ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის" ეკონომიკური დეპარტამენტის სახელმწიფო შესყიდვების განყოფილების უფროსი — გიორგი პატარქალაშვილი